ხელშეკრულება
1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1
24/02/2014

ქ.თბილისი

ერთის მხრივ ააიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი,წარმომადგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ ირემაძის სახით(სამეცნიერო გრანტი 31/71) სახით

და მეორეს მხრივ, შპს „მაგთიკომი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ქუთაისი 2N43ოფისის ზედამხედველ მაია სულაძის (მინდობილობა 03.01.2014)

სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით მონო-ბარათების შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტი : მონო ბარათები (ინტერნეტს მოდემისათვის)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში და შეადგენს 330ლარი (-სამასოცდაათი)), დღგ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ოფისები.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მთიანად ან ეტაპობრივად წინასწარ ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისათვის გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების ოდენობით.

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების სისტემატურად დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

7.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, საბანკო გარანტია ასევე უპირობოდ დაუყოვნებლივ უბრუნდება მიმწოდებელს თუ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, ლარებში.

8.2 5.3 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად.

8.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
- მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს მონო ბარათების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადასცეს შეძენილი ბარათები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. გადაუდებელი აუცილებლობა

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მაყვალა კეკელია

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1. *მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*
2. **მიმწოდებელი:** **შემსყიდველი:**

<u>**იურიდიული მისამართი**</u> ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას №5 <u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u> ს.ს. "თიბისი ბანკი ა/ას.ს. "თიბისი ბანკი"ცენტრალურ ფილიალი ა/ა GE96TB0600000899467899 კოდი: TBCBGE22 საიდენტ. კოდი: 204876606	<u>**იურიდიული მისამართი:**</u> ქ. ქუთაისი თამარაშვილის №59 <u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u> ანგ.ნომ. GE79VTOS0000002222 3408 საიდენტ.კოდი. 212693049
ქუთაისის 2№43 ოფისის ხელმძღვანელი მაია სულაძე	----------